შეთანხმება

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს „ახალი ქსელებს“ შორის 2017 წლის 9 ოქტომბერს დადებულ №143 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *28 ნოემბერი, 2017 წელი*

ერთი მხრივ, ***სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზაალ ქორთუას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „ახალი ქსელები“*** (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნანა შარაშენიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, 2017 წლის 9 ოქტომბერს დადებულ №143 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-16 მუხლის 16.2 პუნქტის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

ხელშეკრულებაში მითითებული დაფინანსების წყაროს დაზუსტებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

1. განხორციელდეს ცვლილება ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   პუნქტი 1.1. – „ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით (პროფესიული პროგრამების სწავლების პროგრამული დაფინანსება), შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან „DSL“-ის ტექნოლოგიისა და შესაბამისი აპარატურის გამოყენებით (ციფრული სააბონენტო ხაზის ორგანიზება არსებული სატელეფონო წყვილის გამოყენებით) ***ინტერნეტმომსახურების*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მომსახურება) შესყიდვა *(CPV კოდი: 72400000 - ინტერნეტმომსახურებები)*, „მინიმალური“ პაკეტით (დანართი №1).“

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი	*მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი*
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი იურიდიული და ფაქტიური მისამართი _ ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 საინდენტიფიკაციო კოდი: 22040788	*შპს „ახალი ქსელები“* იურიდიული და ფაქტიური მისამართი _ ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 42 საიდენტიფიკაციო კოდი: 211 326 732
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: ..... /ზ. ქორთუა/	*შპს „ახალი ქსელების“ დირექტორი:* ..... /ნ. შარაშენიძე/